

საქართველო

PROBLEM OF
IT TOUTE CHOSE..



საქართველო
საბჭოთავი



ენჯი-ბენჯი



მთაში სალომეურის
ვაკანესეუბნი...



MAK



ნ.ა. ჯ. ლოლუასი


№ 3 (1373) თებერვალი 1972

საქართველო

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა ახლახან შესანიშნავი კონცერტი მოუწყო ჩვენს სახელოვან მეცხვარეებს, მაგრამ რესპუბლიკის კულტურის სხვა მუშაკები მათ წინაშე ვალში არიან.

არა, ბიჭო, ახლა როიალს ამოგიბანთ მთაზე.

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კაპ.



— ამდენი ხალხი მოვიდა სხვადასხვა შემოწმებადი ორგანიზაციებიდან შენი მუშაობის შესამოწმებლად.
— შე კაცო, ამდენი ხალხი თუ გყავთ თავისუფალი, მი რაღას მამუ-
შავებთ ათ დაზგაშე?

ქართული სახელმწიფო

დაუწყო თუ არა თმებმა ცვენა ომარ არჩილის ძე ბერიანიძეს, მოაგონდა, რომ ფოთოლცვენა ზამთრის პირზე იწყება და გადაწყვიტა, შედგომოდა საქმეს, მაგრამ არავინ იფიქროს, თითქოს ომარს შრომითი საქმიანობის დაწყება უნდოდა, არა! ეს არასოდეს აწუხებდა. არც არასდროს მოსვლია ფიქრად, ოდესმე ქვა ქვაზე დაედო, ხელი გაენძრია, ოფლი დაეღვარა.

არჩილის ძის საფიქრალი ქრონიკული სიძეობა გახლდათ.
...ეს იყო 1965 წელი. ომარმა მიატოვა მშობლიური სოფელი **ზედღული** გორის რაიონში და ქალაქ **ხვერდლოვსკს** ეწვია. სწორედ აქ მიიღო მან პირველი საქორწინო ნათლობა.

— ო, ალექსანდრა! (ასე ერქვა მის პირველ მეუღლეს), — ლულუნებდა საამოდ ომარი, — ქართველებს ერთი ანდაზა გვაქვს: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“, და, აი, ფეხმა ხვერდლოვსკში მომიყვანა, ბედი კი შენა ხარ ჩემი!

როგორ არ დაეჭვებინა ალექსანდრას ასეთი სიტყვებისათვის? დაუჭერა კიდეც და თერთმეტი თვით ომარს მიესაჯა მეუღლეობა.

ცოტა ხანში მოენატრა საქართველო, ნათესავ-მეგობრები და დაუბრუნდა საკუთარ კერას, შემდეგ კი სოფელ **ავლევი**ში შეიარა და მედიკო ბადრიაშვილის წინ მუხლებზე დაეცა:

— ქართველებს ერთი ანდაზა გვაქვს: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“, და, აი, ფეხმა შენთან მომიყვანა!

მედიკომ და ომარმა თავიანთ შვილს მათა დაარქვეს.
თანდათან მდიდრდებოდა ომარ ბერიანიძის სამიჯნურო ბიოგრაფიის ობიექტები და გეოგრაფიული არე. **ავლევიდან** ომარი ომსკში ჩავიდა.

— ო, მარინა! (ასე ერქვა მის რიგით მესამე მეუღლეს), — ქართველებს ერთი ანდაზა გვაქვს...

წლისთავზე მარინასა და ომარს ბიჭი შეეძინათ და მურაზი დაარქვეს.

— ო, ნინელი ქართველებს ერთი ანდაზა გვაქვს... — უკვე მეოთხედ იმეორებდა ჭეშმარიტად დონ ჟუანის ნაშეიერი.

— მე ქალთა გულის მონადირების ისეთი საშუალება აღმოვაჩინე, — ტრაბახობდა ერთ-ერთ სუფრაზე ომარი, — რომ თოფისწამლისა და ქალაღლის გამოგონება მასთან არაფერია.

და, მართლაც, ოთხმა მშვენიერმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამართა ომარ არჩილის ძის გულში ადგილის დასამკვიდრებლად. ისინი ამისთვის არ იშურებდნენ არც ფერ-უმარილსა და არც პურ-მარილს.

...და განა მართო ომარ ბერიანიძე? „ნიაზგს“ ხელთა აქვს მრავალი წერილი, რომლითაც უმწიკვლო გოგონები მოატყუეს უქნარა და მოხეტიალე ვაჟებმა, მაგრამ აქ ამ წერილთა არც შინაარსს მოვიყვანთ, არც სიტყვებს, რადგან თქვენ შეგებრალუბათ მაღლიანი ქართული ენასამ წერილებს ამყარად ეტყობა სუფრის მედლის სიმღერის ტექსტისა და ჟარგონების გავლენა, იგრძნობა, რომ მათ ბავშვობაში ცოცხალი ბატის გაბღღვნის, გაკვეთილების გაცდენისა და ჩიკორის ბზრიალის მეტი არაფერი გაუკეთებიათ...

ხოლო რაც შეეხება ომარ ბერიანიძეს, მას კვლავ დასდევნენ ცოლ-შვილები, ზოგი ალიმენტს თხოულობს, ზოგი შერიგებას, ხოლო ნაწილი წაღებული ნივთების დაბრუნებას. ომარი კი ასე პასუხობს:

— რადგან ასე ძალიან გიყვარვართ, მაშინ ნაჩუქარი ირემივით გამინაწილეთ, მაგრამ იცოდეთ, კიდეც ჩხუბი არ მოგივიდეთ! რაც შეეხება ჩემს ყოფილ სიდედრებს, ჩლიქებს ვუწყალობებ, ხოლო რქებს იმ ქმრებს მივართმევ, რომელთა ცოლების გულსაც მომავალში მოვინადირებ!

შალვა ვანიშვილი,

„ნიაზგის“ საკ. კორესპონდენტი.

ქორწილია, ქორწილი...

იბეჭდება მოსაწვევები, იგზავნება კონვერტები, მიმოქრიაან შიკრიკები, იფოფრებიან მაჭანკლები, იღება კიშკრები, იხსნება დარაბები, იხურება დაწესებულებები!..

ბლავიან ხბოები, ჭკვირიან გოჭები, უიტყიტებენ ინდაურები, კრიახებენ ქათმები, იცლებს ბაზრები, ცარიელდება ჭიბები — იქცევა ოჯახები!..

შოთრევენ მაგიდებს, შოაგორებენ კასრებს, შოახრიგინებენ ქვაბებს, შოაულრიალებენ „კასრულებს“, შოატაკცუნებენ თეფშებს, შოახრიალებენ დანა-ჩანგლებს, შოაკივლებენ დაფა-ზურნას...

და ისმება ღვინო: ჭიქებით, ბაკლებით, აზარფეშებით, თახებით, ყანწებით, ჭინჭილებით, კათხებით, ჭურებით, მარნებით, კეცებით, როდინებით, ლამპის შუშებით... იფრქვევა სადღეგრძელოები, იჭულიტება ტვინები, იჩერქება ცხვირები, თეთრდება ღამეები, შავდება ღღებები, სკდება თავები, ჩერდება გულები — იხრჩობიან ადამიანები!.. — გუშინ ქორწილში ვიყავი, ქორწილი იმას ჰქვია! — რამდენკაციანი იყო? — 1000-იანი. — !?

ს. ზარიძე

„ნიაზგის“ დეპსიკონი

მუშტასორა — რომელიც ყველაფერს სხვას თხოვს, საკუთარ თავს კი — არაფერს.
ჭორიბანა — რომელიც ყველას დამცირებას ცდილობს და ყველას თვალში მცირდება.
შემედი — რომელიც ყველაზე მეტს ლაპარაკობს და ყველაზე ნაკლებს უსმენენ.
საწყობი — „ხადავოი“ საქონლის დასამალი ადგილი.
ოფიცინანტი — პიროვნება, რომელიც ჯერ ემსახურება სუფრას, მერე კი ბატონობს.
მასპურსია — კოლექტიური წასვლა საქეიფოდ.

შეადგინა ალმანჯორ თავაძემ

ზოგიერთი „სანიკეუმო“ პასუხის ნიშნები

გთხოვთ მომცეთ კუთვნილი შევებულება!

პასუხი: ვინაიდან საფინანსო წელი, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამოიწურა და თქვენი განცხადება კი, თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაემთხვა ამ პერიოდს. ამიტომ შეუძლებელია თქვენი განცხადების განხილვა.

ჩვენი ბინა ავარიულ მდგომარეობაშია. გთხოვთ გადავიკეთოთ რემონტი.

პასუხი: თქვენი განცხადების გამო გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულმა თქვენს მიერ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, რომელიც დადასტურდა.

გთხოვთ მომცეთ ერთდროული დახმარება!

პასუხი: მოგახსენებთ, რომ თქვენი განცხადება განხილულ იქნა ერთდროულად და გატარდა ყველა საჭირო ღონისძიება, საქმის გაუქმანებულად, რის გამოც მიღებულ იქნა ზომები თავშეკავების მიზნით.

ა. წ. 17 იანვარს გავაგზავნე ამანათი თბილისიდან მცხეთაში. დღემდე აღნიშნული ამანათი არ მიიღო ადრესატმა. განცხადებებსთან ერთად გირდგენთ ამანათის ქვითარს.

პასუხი: თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამჟამად, უამინდობის გამო, ადგილი აქვს სატრანსპორტო მოცდენებს, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ შეუძლებელია ერთგვარად დადგინდეს სიზუსტე, თუმცა არც შეიძლება მთლიანად გამოირიცხოს ეს შესაძლებლობაც.

ატელიეში მივიტანე საკოსტუმე. უკვე მესამე თვეა, ვერ მოახერხეს ზომების აღება. ბოლოს კი მიტხრეს, თქვენი საკოსტუმე დაიკარგაო. გთხოვთ თქვენ მაინც მიიღოთ ზომები!

პასუხი: მოგახსენებთ, რომ თქვენი განცხადება შესწავლილ იქნა და ზომების მისაღებად მიღებულია ზომები. რაც შეეხება დროის საკითხს, ყოველმხრივ გათვალისწინებული იქნება და სათანადო რეზოლუციით გადაეგზავნება შესაბამის ორგანიზაციას შემდგომი რეაგირებისათვის, რის გამოც თქვენს თხოვნას კერძობით ვერ დავაკმაყოფილებთ.

თქვენს მიერ დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში ვმუშაობ უკვე ოთხი თვეა. ჩავატარე მთელი რიგი სამუშაოები, რომლის სრულ სიასაც გირდგენთ განცხადებებსთან ერთად. მერგება 715 მან. დღემდე კაპიციც არ მიმიღია. გთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩემი განცხადება!

პასუხი: გაცნობებთ, რომ როდესაც ნარდად ან, თუ გნებავთ, ისედაც, არ არის გაფორმებული და გრაფიკში ჩასმული, მაშინ, რა თქმა უნდა, არც ტაბელით შეიძლება დადგინდეს, თუ როდის, სად ან ვინ აწარმოებდა ამა თუ იმ ოპერაციას. ამის შემდეგ თქვენთვის გასაგები და ნათელი უნდა გახდეს მთელი საქმის შინაარსი.

რეზოლუციები ჩაიწერა და თვითონაც ვერ გაიგო იპაინთე ცნობილბაქმე

დ ი ა ლ ო ბ ი

— ვილაცის ძალი შემომეჩვია, გუშინაც ქათამი დამიგლიჯა და გადავარდა გერვასის ეზოში. მაგი ძუნქალი ამოაგდოს ღმერთმა!

— ვინ, კაცო, გერვასი?

— გერვასის რას ვერჩი, შე კაცო? ძალი ამოაგდოს-მეთქი, გერვასი რა შუაშია? იმას მიაკვდა ძალი და ღორი!

— ვის, კაცო, გერვასის?

— ა, კიდევ?! გერვასის კი არა, იმ ძალს... რომ დაგიჩემებია, გერვასიო, რას დაგიჩემებია?... ის ვნახე ფეხებგაფშეკილი ადრე და მალე!

— ვინ, კაცო?..

— ძალი, ძალი!.. ძალი მიგაკვდა სულში შენც, გერვასისაც და იმ ძალის პატრონსაც!

თამაზ სალუქვაძე

ქ ა მ ი ს ბ ე რ ი

— მამაკაცმა თუ გაბედე და ქალს სიგარეტი შეაბოლე, უზრდელი ხარ! მეტიც... ლამაზი სქესის წარმომადგენელი იმ წამსვე იყვირებს: „მხეცო!“

ჩვენ კი, ჩვენ, მამაკაცები, ანალოგიურ სიტუაციაში ღიმილით გავიბადრებით, სა-

ფერფლედ გამოვადგებით. მეტიც: მშვენიერმა მანდილოსანმა კვამლშიც რომ დაგვანრჩოს, თან, ვითომდა ხუმრობით, მუჯღუგუნი გვითავაზოს და ტერფზე ქუსლით შეგვდგეს, ამასაც ქათინაურად მივიღებთ.

გივიკო პატარიაძე

იურიდიული კონსულტაცია

კითხვები პასუხების გარეშე

ჩემს მეზობელს აქვს ჰაერის თოფი, რომელსაც მთელი დღე ისვრის და ამით ხარჯავს უამრავ ჰაერს.

ხომ არ ვდგავართ უანგბადის მოსპობის საშიშროების წინაშე?

* * *


ამ ათი წლის წინ დავკარგე ცოლის ბეჭედი და ჩემი ოქროს საათი, ახლახან კი ორივე ვიპოვენი პირადად მე.

ითვლება თუ არა ჩემი საქციელი კეთილშობილურად?

ავთანდილ ადანიშვილი



— რა იქნა ის წერილი იმ კაცმა იმ წლის იმ თვეში რომ მოიტანა?
— იმ კაცმა, გატონო, ის წერილი და თვეში ზირიც რამდენი ხანია წაიღო.



— ათვერდიან მოხსენებას რა წაგაქითხმებს ხვალ?
— ეს, მამიკო, თქვენ წაქითხვით მაინც გაქვთ, ჩვენ სულ ზეპირად გვთხოვენ!



— ეს ჩატრონული ლიფტი ყოფილა, ქალბატონო, ყველა საღებურ-ზე არ ჩერდება.

პირველი კვლევა

პირველი თავიანი ქალაქი ცალთვალა გააშვეტს, ხოლო თვალხილულს უარი უთხრებს...

კრიტიკი და წაღკვეპა ნახი

კრიტიკი შეტლა წაღკვეპა ნახს სსრკოი ტრასაზე, ახაყად

გამდობდა და უთხრა: ახა, რას შეგრძობენ მე შენ? ასი წერილი ტყვალა მატყს, გაცემის ალა და აღუტყვალა შენ კი...

წაღკვეპა ნახა არა მიეყო რა, ჩაყვინთა და უშობო გაურწა მისკენ ტროპილი, რიოც უნამეცე იკანუმარტა თავისი რაობა.

მხვრისხარხში მანანა

მხვრისხარხში მანანა დილა უთრია, გამოდიოდა სახე-წაო, შემოვილიდა ქალაქის ქუჩებს და შეისრუტავდა ურაცხელ მტკერს...

ხის პანანახი

მრძი ლთის ქალაქის ქუჩაზე მოკობნდა ლეონის ბუცა. ბოცა ხელიდან გაუვარდა...

და, გასკვდა და ღვირი ჩაუვიდა მხვრისხარხში მანანას...

ტრაქტორი და კოლხები

მრძელ სოფლის მთავარზე მიმავლას ტრაქტორმა ზღარმა გატარა...

მხოლოდ უთხრა ტრაქტორისას: საცვირველია, ჩემი მანანა საშვერე უფრო მიმიტყმის...


საშვერე მაგიაში, ძიბობლო, სიღიფიო უთხრა, ტრაქტორისას...

მრძელი და უტყარნი მრძელმა უთხრა კაცს: შენი ვერაფერი გამიგებია...

წელიწადი მუშაობის შემდეგ კაცმა მიეცა: ფუტყარი თავისეცე რომ არ მამდრელებს...

ჩაყარა წყადა ცასიში, პატარა ნაწილს კითხვა მამავა, რად ჩაწყაფე წყალოთ თვენი?

წელიწადი მუშაობის შემდეგ კაცმა მიეცა: ფუტყარი თავისეცე რომ არ მამდრელებს...



— რა მიკრძა ჩაბრახა? — ზღამი ბუთოს მანძილ კლამინა... — მირა, რა ქანა? — იაქი ბასურა...



— ჩემო მამო, სახელოთ ითრებ, — ზღამი ბუთოს მანძილ კლამინა.




— ჯერ ის ვერ მოხილავდით პირდაპირ რთუ შეპახის სახურში და აქლა შენ შემოვხევი კიდეც შენ?

— და მთავარ ბატონო მამო, შენცე მამო, სახელოთ ითრებ, — ზღამი ბუთოს მანძილ კლამინა.



— ვეძიო რაზე მინახას, თან-დო? — რა მიკრძა, შე კაი კამო, ჩაბი სრულს ხილდე ბასლა უბრე სრული.



— რა ვახას მამო, შენცე მამო, სახელოთ ითრებ, — ზღამი ბუთოს მანძილ კლამინა.

სხვინ სხვინ! (Large stylized text graphic)

ოთარ მავფოთია

ლორეიული ბავისადაბა

ავადიბოი, ავადიბოი, ჩვენ გნ სხვადა ვაპოლებს, ახა რად ვაპოლებენ მანანაზე სახელებს!

ახლა არენ მავფოთლის თუ ირინახე ქუთაისი და ჩიონის ფიარია, ამ სხვებს შეპატივის, იქ ვაქს ძელი ტაბაჩი...

— დაბინ, დაბინ, თორქე შეტყას მარნი თანთია ჩა არი, მტეცა თურქე მანანა...

— კლამინ თუ გ კლამინ, ყანბინ თუ ვანბინ, ვეხადა თუ ხეხადა, ვეკვინე ირინახე...


— დაბინ, ჩემო, თქვენ მიეძებნით, რაა რომ ცხელად ვეძებო, ეს ახანა მე შეეძენი...

— ანბი, ჩემო, თქვენ მიეძებნით, რაა რომ ცხელად ვეძებო, ეს ახანა მე შეეძენი...

— დაბინ, ჩემო, თქვენ მიეძებნით, რაა რომ ცხელად ვეძებო, ეს ახანა მე შეეძენი...

„ნიანგის“ რეპროდუქცია... ლეონი უნდა იყოს ნათელი ყველა სახელის არი...

მიულოცეთ ახალი ბინა ჰიჭიკოს!



— მიმღებ კომისიას ამ სახლმა ხუთიანი გაირჩია.
— მიწისპირის დროს ერთი ბა-ლიც გყავს.

დილის 7 საათზე ჰიჭიკომ თვალეზი გაახი-
ლა და ჰერი დაინახა, რომელიც საოცრად ახ-
ლოს იყო ცხვირთან. მერე გაახსენდა, რომ
დღეს შაბათია, სიამოვნებისგან თვალეზი მილუ-
ლა და, ის-ის იყო, უნდა გამოთიშულიყო გა-
რესამყაროდან, რომ ეზოში ვილაცამ მანქანა
დაქოქა და ძრავის გახურება დაიწყო. ძილზე
ფიქრით კი ზედმეტი იყო და ჰიჭიკო ისევ ჩაე-
როთო გარესამყაროში: ჯერ ორი უშველებელი
საბინიდან ფეხი გამოყო, მაგრამ სიცივისაგან
კრუნხვა დაემართა და ფეხი კუსავით ისევ
უკან შეპყო. შარვალ-ხალათი საბნის ქვეშ ჩაი-
ცვა, აბაზანისკენ გაემართა, მაგრამ იატაკიდან
ამოვარდნილ პარკეტს ფეხი წამოკრა და კიდევ
ერთხელ გაზომა საცხოვრებელი ფართი.

ონჯანი უდაბნოსავით გამოშრალიყო.
— დამისხი წყალი, პირი დავიბანო! —
უთხრა ცოლს.
— აგერ ჰურბელი და ამოიტანე! — მიაჩე-
ჩა ცოლმა ქვაბი.

ბატონი ჰიჭიკო ქუჩაში გავიდა, ტაქსი დაი-
ჭირა და ოთხი კვარტალი გაიარა. რვასართუ-
ლიან სახლებს შორის ოაზისივით მოჩანდა ძვე-
ლი ორსართულიანი სახლი, რაღაც სასწაულით
შემორჩენილი ახალ უბანში. ონჯანთან უწყლოდ
გაწამებულ ადამიანთა გრძელი რივი გაჭიმუ-
ლიყო. რიგს მილიციელი აწესრიგებდა. ვიღაც
გამხდარმა ახალგაზრდამ ვეღარ მოითმინა. რი-
გიდან გამოვარდა, ონჯანს მიაკვდა
და წყალს დაეწაფა. ხუთი წუთის
შემდეგ ძლივს მოგლიჯეს ონჯანს
წყლით გაბერილი, იქვე ბალახზე
დაწვივნეს და ხელოვნური სუნთ-
ქვით გონს მოიყვანეს. ისევ ეძვე-
რა ონჯანს, მაგრამ დროზე გაო-
ქეს...

ერთი საათის მერე ჰიჭიკომ
ქვაბი გაავსო და ტაქსით სახლში
დაბრუნდა. ლიფტში შესულმა
ლილაქს თითი დააჭირა. ლიფტი
რაკეტასავით მოწყდა და რამდე-
ნიმე წამის მერე ადგილზე გაქვავ-
და. ნახევარი ქვაბი დაიღვარა.
„ჩქაროსნულია“, — გაიფიქრა
ბატონმა ჰიჭიკომ, კარი გამოაღო,
ნაბიჯი მაშინააღურად გადაიღვა
და შუბლი ბეტონის კედელს მია-
რტყა. ლიფტი სართულებს შორის
გაჩერებულიყო. ჰიჭიკომ ქვაბი მა-
ლა შეღვა, მერე თვითონ აბო-
ბდა.

— ნახევარი რომ მოგიტანია, ვერ გაავსე?!
— უსაყვედურა ცოლმა.
— გზაში დავლოე.
საუხმის მერე ჰიჭიკომ ვადამყიდველთან ნა-
შოვნი ინგლისური კლატე აიღო და მუყაოს
კარს მიაზომა, მერე დაყენებდას შეუღვა. მოქ-
ნეული ჩაქუჩი შემთხვევით მუყაოს მოხვდა,
კარი გაგლიჯა და მეზობლის ჯავშანგადაკრული,
ვერცხლისფრად მზინავი კარი გამოჩნდა. ჰი-
ჭიკომ ხელი ჩაიჭინა, პალტო წამოისხა და სა-
ვარძელში მოკალათდა. როცა კითხვით დაი-
ლა, პალტოიანად საბნის ქვეშ შეწვა და თვა-
ლები მილულა. მეზობლის ბავშვმა გამების და-
კვრა დაიწყო და ჰიჭიკოს იზოლირებული ბინა
მუსიკის პანგებით გაიგსო.

— რა დროს ძილია. აი, ეს ლურსმანი მიმი-
ქვდე! — უთხრა ცოლმა და საკმაოდ მოზრდი-
ლი ლურსმანი მიაწოდა. ჰიჭიკომ ლურსმანი
კედელს მიაბჯინა და ჩაქუჩი მოიპარჯვა. ლურს-
მანი ჯერ გაჩითდა, ნელა მიიწვედა წინ, მერე
თავისუფლად წავიდა, კედელი გახვრიტა, მე-

ზობლის ოთახში გავიდა და პატარა ბიჭს, რომე-
ლიც მშობლებს კუთხეში დაეყენებინათ, შარ-
ვალი გაუხია. გაისმა ღრიალი. მეზობელი ბელ-
ბის შლით მოურიდებლად შემოვარდა!

— ერთადერთ ბავშვს მიკლავ?!
— არა, ბატონო, როგორ გეკლავებთ...
ინციდენტი ამოიწურა. ჰიჭიკო ლოჯიაში გა-
ვიდა, მოაჯირს დაეყრდნო და ფიქრს მიეცა.
უცებ ზურგს უკან ყეფა მოესმა და კინაღამ გუ-
ლი გაუსკდა. მეზობლის ლოჯიიდან უზარმაზარ
ნავაზს გადმოეყო თავი და ბოროტად იღრინე-
ბოდა. ჰიჭიკომ უკან-უკან დაიხია, ოთახში მიი-
მალა, კარი დაკეტა, წამოიწვა და სული მოთქვა.
მეზობლის ბავშვი თითქმის ფიქრს მიუხვდაო,
დაკვრა შეწყვიტა და არაქათგამოლუქულმა ჰიჭი-
კომაც თვალეზი მილულა.


— ახლავე დაქვამი და დაუჯარი, აღარ დავი-
ნახო ამდგარი! — იღრიალა ვილაცამ კედლის
იქით და ოთახი ისევ აიგსო მუსიკის პანგებით.
სალამოს გერმანული ხუთსერიანიანი სიტელე-
ვიზიო ფილმის ქართულ ვარიანტს უჩვენებდ-
ნენ. მეზობელმა ტელევიზორი მთელ ხმაზე ჩა-
როთო და ჰიჭიკოს არც ერთი სიტყვა არ ეპარე-
ბოდა.

როცა ფილმი დამთავრდა და დიქტორმა
კვირის პროგრამა გამოაცხადა, ჰიჭიკომ გაიხა-
და და თვალეზი დახუჭა, მაგრამ სიდიდანაც სი-
მღერის ხმა მოესმა. ლოჯიაში გავიდა და მალ-

ნახ. 3. შუმბურიძისა



— ვერ მიტანით, გამდიდრდებით!
— თქვენისთანა ხალხმა თუ ვერ მიტნო, რა
გამამდიდრებს, ბატონო.



— აკაშენით სწრაფად, მაღალ-
სხარისხოვნად, იაფად... შმიკლიათ
დაყვარდნით ჩვენს სიტყვას, რომ...
— ჩვენ კი დაყვარდნობით, მკა-
რამ ვინ მკ მოაჯირზე დაყვარდნო-
ბას არ ბირჩვით!



— სანამ დროა მიიღეთ, ბატონო,
ეს სახლი მასპროტაქსიში, თორემ
ჩქარა უშალი მიიღებს.

ლა აიხედა. მერვე სართულის ლოჯიაში შემ-
თვრალი ახალგაზრდები მღეროდნენ: „დღეს
რომ ჩემი გაიყვების დღე დადგეს... რით მი-
წამლებ, ნეტავ?...“

ჰიჭიკომ დიდხანს ვერ დაიძინა. კედლის მი-
ღმა ისმოდა მეზობლის ლოჯიის ჰრატუნნი, მა-
ღვიძარა ჩვეულებრივზე ხმაალა წიქოქებდა
და ჰიჭიკოს ეჩვენებოდა, რომ ჩაიძინებდა თუ
არა, მეზობელი მანქანას დაქოქავდა და გაა-
ღვიძებდა. „ხელო კვირასა, როგორმე გაეუძღვებ.
ორშაბათს კი სამუშაოზე დავისვენებ. შეიძლე-
ბა წავუძინო კიდევ“, — ფიქრობდა იგი.

ნელა იძინებდა რვასართულიანი (მეზობელი
კერძო სახლების მშენებელი), თვით კი ერთობ
სწრაფად და იაფად, უზარისხო ბლოკებით ნა-
შენი სახლი, რომელშიც ერთი კვირაა, რაც
ხალხი შესახლდა. დაიძინა ბატონმა ჰიჭიკომაც.
მას თავისი ძველი, არაზოლირებული ბინა და-
ვისხმარა...

სიმონ ჯაფარიძე.

მუხანაგალი... გუგული?!

როდესაც გუგულმა მადლიდან
ფრინველთა სამეფოს დახედა,
წრისხანედ აენთო თვალეზი,
გაბრაზდა, განრისხდა, გახვლდა...

მონახა „ტყემუნის“ უფროსი,
მიწამედ დახარა ნისკარტი,
ცალი ფრთა გულ-მკერდზე მიიღო
და მერე დაიწყო დისკანტი:

„ბოდიში, ვბედავ და გაწუხებთ,
მომავალს ეხება საკითხი,
ვიცი, რომ მომისმენთ, გამიგებთ,
ვითარცა ბრძენი და ნაკითხი.

შეხედეთ ჩვენს ნაშენ ბუდეებს,
რას ვაგებთ? რა სტილით? რა
მიზნით?

თქვენს ბარტყებს რა ვუყო,
თორემ მე
თითო შვილს სუყველა გამიზრდის

ყველა რომ ინჟინრობს, ოსტატობს,
ყველა რომ ამ დარგში ეჩრება,
ესაა მიზეზი, რომ ვრცხვებით,
ესაა, თავი რომ გვეჭრება!

ზოგი რას აშენებს, ზოგი—რას,
არავინ არ იცავს სტანდარტებს,
მე მიკვირს, უფროსო, რისათვის
იმატებ შარსა და სადარდელს?!

რად გვიანდა, პირდაპირ მითხარით,
სახლები სხვადასხვა ფორმისა,
განა არ სჯობია ვაგებდეთ
ბუდეებს სულ ერთი ზომისას?!

ამიტომ კარგია შენება
ერთს ვანდოთ, არა გთხოვთ სხვა
რამეს,

იქნება, მე დამდოთ პატივი,
და თვითონ გაეუძღვე ამ საქმეს!

„კეთილი“, — დათანხმა უფროსი.
შეწინებლად დანიშნა გუგული,
სელწერას დაუსვა ბეჭედი,
კვდებოდა სიცილით ბულებული.

შეწინებლად ნაკურთხმა გუგულმა
ტემები თანდათან გაზარდა,
ბუდეებს აგებდა ერთნაირს,
გეგმავდა, ზომავდა, საზავდა...

წალკოტა... უსასო, უბრალთ
სტანდარტულ სახლებით მოფინა,
რადგანაც შენების ოსტატი
გუგული არასდროს ყოფილა!

გრიგოლ ჩიქვილიძე

ჩვენს საერთაშორისო პედაგოგთა კრებაზე

7
1972

ქართული
საბავშვო ჟურნალი

ჩვენი საერთაშორისო პედაგოგთა კრებაზე

მსოფლიოს გაზეთები მიუთითებენ ტელ-ავივლი ექსტრემისტებისადმი აშშ-ის დახმარებაზე და ხაზგასმით აღნიშნავენ: „ისრაელი პატარა ქვეყანაა, ერთობ უეჭოდუღი რესურსებით, იგი ვერ გაბედავდა ახლო აღმოსავლეთში უანდარმის როლში გამოსვლას ამერიკის მხარდაჭერის გარეშე“.

ასლი.

როპელიზ

დედათა

სწორი

პრ

პრის

ნახ. ბ. ლომიძისა



ქარნაის კომუნალური

(ზარათნ რაფეს მეორისა და დედოფალ ნეფარტარის ძეგლი ამონის ტაძარში. ზემო ეგვიპტე).

ამერიკა-ისრაელის კომუნალური

(ქია სემისა და გოლდა მეირის ძეგლის პროექტი ახლო აღმოსავლეთში).